

ოქმი N10

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი

2015 წლის 9 სექტემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 24 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2015 წლის 31 ოქტომბერს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური

განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა

და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და მოსაკრებლის განყოფილების უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, შ. ჭილაია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუშია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2015 წლის 31 ოქტომბერს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და მოსაკრებლის განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: მ. რუხაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2015 წლის 31 ოქტომბერს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (შ. სირაძე) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

შ. სირაძე - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთას, ამასთან წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების გასამართად ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, ასევე ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება წინასაარჩევნო აგიტაციისთვის განთავსდეს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატები და განცხადებები. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ პროექტი

მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, მ. ყურუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N42 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე



ედიშერ ჯობავა

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესამე მოწვევის საკრებულოს 2015 წლის 9 სექტემბრის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე
საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. შოთა სირამე
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლევან ქავთარაძე
7. თენგიზ აბაკელია
8. თემურ გულუა
9. მალხაზ ლაგვილავა
10. კახა მიქაბერიძე
11. როსტევეან გვარამია
12. შადიმან ჭილაია
13. ირაკლი ნადარაია
14. ბეჟან ქირია
15. ედიშერ წურწუმია
16. ვასილ კუკავა
17. ჯემალ ნადარაია
18. კახა ლატარია
19. გიორგი ხურცილავა
20. მერაბ ფილიპია
21. ლაშა ცატავა
22. მალხაზ ყურუა
23. იგორ გოგოლაძე
24. გენად ქამანაია